მატჩი კიევში

კიევი. (ტელეფონით. ჩვენი სპეც. კორ.).

მიმდინარე სეზონში კიევისა და თბილისის “დინამოს” ფეხბურთელები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. სსრ კავშირის პირველობაზე. კიეველებს ანგარიში მიჰყავდათ 2:0, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს უპირატესობა და ორი საპასუხო ბურთი მიიღეს თავის კარში. თასის გათამაშებაში კიეველები კვლავ ორი ბურთით იყვნენ წინ, მაგრამ ისევ შეასუსტეს თამაში და დამარცხდნენ – 2:3.

7 აგვისტოს კიევის “დინამომ’ მეორე წრეში თავის მოედანზე მიიღო თბილისის თანაკლუბელთა გუნდი. თამაში თბილისელთა წარმატებით დაიწყო – გუნდის კაპიტანმა ღოღობერიძემ მე–8 წუთზე ანგარიში გახსნა. მაგრამ ამჯერად თამაშმა საწინააღმდეგო სახე მიიღო. კიეველები გააქტიურდნენ, ხელთ იგდეს ინიციატივა და მოწინააღმდეგეს სრული ძალით შეუტიეს. მრავალრიცხოვანი იერიშების შემდეგ ტერენტიევმა ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

კიეველთა უპირატესობით მიმდინარეობდა აგრეთვე მეორე ტაიმი. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო თბილისელთა მეკარე პირაევმა.

კიევის “დინამოს” ცენტრალურმა თავდამსხმელმა ზაზროევმა ზუსტი დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა თბილისის “დინამოს” კარში. მატჩი დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით – 2:1.

დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 1:1.

“ლელო”, 10 აგვისტო, 1955 წ.